ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5000480

ნომერი: AR1755990

თარიღი : 24.06.2020

გაცემის თარიღი : 26.06.2020

გაცნობის თარიღი : 26.06.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ილიკო ქურხულის შესახვევი, N 4ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ლონდარიძე პ/ნ 01001009744
- თბილისი აკურის ქ. N 13 ბ. 56

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2020 წლის 24 ივნისის AR1755990 განცხადება.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2019 წლის 05 აგვისტოს N4611909 ბრძანებით ნაკვეთზე შეთანხმებულია სასტუმროს არქიტექტურული პროექტი. ვინაიდან მიმდინარე განცხადებით წარმოდგენილი სამუშაოებით იცვლება შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი, საჭიროა სამსახურს მომართოთ პროექტის კორექტირების მოთხოვნით და განსახილველი სამუშაო ასახოთ სხვა ცვლილებებთან ერთად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას I კლასად დაადასტუროს წარმოდგენილი სამუშაოები.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.